

Applying to Art School

Georgian transcript:

ირინკა: თუ შეიძლება მოგვიყევით როგორ ხდება საქართველოში უმაღლესში მოწყობა, რა გამოცდები გჭირდებათ და ასე შემდეგ.

მარიამი: ანუ ჩემ დროს იყო სამი გამოცდა. ეროვნული გამოცდები იყო. ერთი იყო უნარები, მეორე ინგლისური და მესამე იყო ქართული ენა და ლიტერატურა. ხოდა... ანუ მე ეგ მჭირდებოდა, იმიტომ რომ მე ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში და იქ კიდევ ცალკე მქონდა ხატვის გამოცდა. ნუ პრიციპში ძან ადვილი იყო ჩაბარება.

ირინკა: და ეს ხატვის გამოცდაში რა... რას გახატინებენ, ნატიურმორტს...

მარიამი: ნატიურმორტს იმიტომ რომ უნდა მიხვიდე და დახატო ნატიურმორტი, გაქვს ამისთვის ხუთი საათი; აჰ... და მოკლედ მერე ას ქულიანი შეფასების სისტემით...

ირინკა: ას ბალიანი შკალით აფასებენ. უნარები რომ ახსენე თუ შეიძლება მოკლედ აგვიხსენით რა..., როგორი გამოცდაა.

მარიამი: ეს ეს-ეი-თი-ს ვარიანტია, ანუ აქ ცალკეა ჩასაბარებელი მათემატიკა და ლოგიკური ამოცანები.

English translation:

Irinka: Can you tell us what is the process of applying to institutions of higher education in Georgia, what are the necessary exams, etc?

Mariam: At the time when I was applying there were three exams; The National Examinations - Skills, English, and the third one was Georgian language and literature. So that was what I needed [to pass], [and] because I applied to The Academy of Arts I had a separate drawing test. Basically it was very easy to apply.

Irinka: And what about the drawing test ... Did they have you paint a still life...

Mariam: Still life. You have to come and paint a still life, you have five hours for this; and then you're assessed according to a hundred-point grading system.

Irinka: With a hundred point scale. The skills exam that you mentioned, can you explain what kind of a test it is?

Mariam: It is a variation of SAT exam; you have to pass math and logical assignments separately.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated